

ალეკო ბელთაძე

თეთრი სარაფანი

ედევნებოდნენ მას გახლებით, ამოლტილიყო, როგორც ლაფანი. ალალ გულით და სუფთა ხელებით, დაფოფინობდა თეთრ სარაფანით. არ ანუხებდა, დარდი მისხალი, არც შეფარვითი ჰქონდა უნია, ბეჭთან მოშავო უჩანდა ხალი, და, ეს იცოდა, მთელმა დუნიაში. უყვარდა ყველას, ბლუს და ონავარს, გრძნობებს უყრიდნენ, როგორც ქვირითი, ზედ არ უცქერდა, მის მონაპოვარს-ერქვა ლექსი და ლექსში ჯირითი. ყველა პრინციპისთვის ჩახურა ფარდა, და გამოკეტა კოშკში ხალისი, მაგრამ, როდესაც, მას შეუყვარდა, მაშინ, მოუნყვებს აპოკალიფსი. და მისი ცოდვით, მიწაც ინვოდა, თუმც, მოთმინება, ჰქონდა იობის, მიზეზი, დიდხანს, არც მან იცოდა, ამ სიყვარულის არ პატიობის. ეგუებოდა იღბალს ეკლიანს, ქცეულს გალიად, სახლს და ლაფაროს, და ყველაფერში რომ გაერკვია, ის, ქალი იყო უსარაფანო. ო, დიდხანს, დიდხანს, ემახსოვრება, მას, ეს ცრემლები და საკმეველი, ვის შესამჩნევი ერგო ცხოვრება, და სიყვარული შეუმჩნეველი.

ღუმილის სამრეკლო

ბენვი თუ ერთხელ არ აგბურგძვნია, ვერ მიუხვდები სევდას ბარაკონს, გული რას ფიქრობს, სად შეუძლია, ენას-მასზე რომ ილაპარაკოს, უნდა ფარულად მუდამ ომობდე, როგორც მაჭართან ომობს ჭურები, სანდო, თვალბეც არა ბოლომდე, იყიდებიან ჩაპაჭუნებით. ბევრი ნამომცდა, ისევ ბევრს ვნატრობ, და რომ არ ავყვე-ზღაპრებს, არაკებს, მაინც, დუმილი მგონია მარტო, ყველაზე დიდი მოლაპარაკე.

სულის რაქვიანი

ამგვარი გრძნობა არ მაზიარებს, ისე მიცქერის რომ ვითვალეები, ჩინი წაერთვა დღეებს მზიანებს, და ღიად რჩება ღამეს თვალეები. მზერას ვანვდენ და მაინც ვერ მოჩანს, აქ ჩაუყრიათ ნერგი სხვა თუთის, შემეცოდება ვისაც შემორჩა, გული სათნო და სული სათუთი. ვით აღასრულოს კაცმა მისია, ანდა ალაგმოს ასე თარეში, როცა ყიდულობს ქისა ნისიად სიცოცხლეს- დარჩე მუდამ ვალეებში. სული ხან ბრგე და ხან მოფახფახე, ვერსად ვერაფრით ვერ დავასახლე, და სიყვარულის ლამაზ ქობმახებს, ელანდებიან ცოდვის სასახლედ. დროს- თავნაკვეთილს, როგორც ლახანას, მრუშს, გაქნილსა და გამტყვრალ-გალემილს, ცბიერს, ურჯულოს და სალახანას, ტახტი უდგიათ სიალალეში.

სავლის ღირიკა

ახლაც ის შენი ცხოვრებით ცხოვრობს, მისი სამყაროს იყავ ბატონი, მაშინ, როცა შენ ემათხოვრები სულ სხვა დიანებს-- ალიგატორი. ამდენ სუბსარქისს გაყრის სახეში, დრო და შენ მაინც, დღემდე ვერ იშვი, ვინც- პოეზიის მზის სასახლეში, პაჟი იყავ და გახდი დერვიში. და მეჩვენება, გროშად არც ფასობ, იქნებ არც ღირდე უკვე ქილიკად, ის როგორ უნდა გადააფასო, ვინც ჩაგეცრემლა სულში ღირიკად. თეთრი შუალამე როცა ყმუოდა, გეტმანებოდა სევდა ხავსებად, ის ფუტკარივით თავს დაგბზუოდა, და შენს ცარიელ ფიჭებს ავსებდა. არ გაისროლო ბოლო პატრონა, ღვთის რჩეულია ადამიანი, მას, თუ სხვა ვინმე დაეპატრონა, ვნუხვარ, აღმოჩნდეს მერე გვიანი.

ბ რ ი ნ ე უ ლ ე ბ ი


ორღობებში გადმორწეულებს, ჩამწკრივებულებს თანმიყოლებით, ვისი სცხვენიათ ამ ბროწეულებს, რომ შეფაკვლიათ ასე ლოყები. იქნებ დაცალეს ღვინის ამფორა, ან დეკაცებმა მოსდეს ტორები, იქნება, მართლა, მზე ეამბორათ, და გაუვრცელა მთვარემ ჭორები. ო, ეს ცბიერი ყველა დროება, ვისთვის ადრეა, ვისთვის გვიანი, რა ხალასია უმანკოება და რა ბოროტი ადამიანი.

დღეს რაც ახალი გვგონია

ველარ გვცნობს ტაოს პარხალი ქვაც დაგველია სალესი, ყოველი წელი ახალი ძველზე უფროა უარესი. ორივეს მიმართ წაგვერთო, საფალავანო იპონი, ვერც ძველთან ვნახეთ საერთო, ჩანს ვერც ახალთან ვიპოვით. ნემსის ყუნწშიაც გავძვერით, ვერცერთს ვუნახეთ ფონია, ისიც დარჩება კვლავ ძველი, რაც დღეს ახალი გვგონია. თუ საკუნტრუშოდ ვერ აგყვეთ, ჩემი ნაშალით-ბზარებით, მოლოცვას თქვენ დაგენაყეთ, მაინც არ დაგეზარებით.

იმათაც ხომ არ დაუჟმავადა

ბევრჯერ დაფასდა და გადაფასდა, ტინგიცობებმა გამასავათა. დღეს, არაგველთან, მივალ სამასთან, სხვა გზა არა მაქვს, მივალ ცხრა ძმასთან. ვისაც შემორჩათ სული სუფთანი, ვინც მამულისთვის დღემდე არ გაცვდა, ვკითხო შაჰი და ვკითხო სულთან, იმათაც, ხომ არ დაუძმაკაცდა?!



შოთა ხოდაშენელი - 80

80 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე შოთა კონსტანტინეს ძე ხოდაშენელი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო შოთა!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან ქართული პოეზიის, ქართული ლექსის უერთგულეს მსახურს, ძმასა და მეგობარს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს. თქვენ ხომ ის გულანთებული შემოქმედი ბრძანდებით, რომელიც პოეზიისთვის, პოეზიით ცოცხლობს ჩვენს ცოდვით დაცემულ დედამიწაზე და თუ რამეს შესთხოვს თავის შემოქმედებაში არსთაგამრიგეს, ეს, უპირველესად, მშობელი ქვეყნის გადარჩენაა. სწორედ ამიტომაც შეიყვარა ქართველმა მკითხველმა თქვენი ისეთი პოეტური კრებულები, როგორცაა „ნაცნობი ბილიკი“, „გზა“, „შენ ჩემო დიდო იმედო“, „კოშკო, ნაგებო კირით“, „მზე დაფენილო დილითა“, „გმირნო, მამულის მადიდნო“, „რა ნისლი მოგიხვევია“, „ფიროსმანი“, „ჩარგალში“, „ცავ, წმინდავ, ვარსკვლავიანო“, „გმირები და ერისკაცები“... ამ კრებულებში შესულ ლექსებს ხომ სისადავე და პოეტური ძიებები, სათქმელის ნათლად და ხატოვნად გამოთქმის უნარი გამოარჩევს.

დიახ, სილაღე და უშუალოა გამოარჩევს თქვენს მელოდიურ ლექსებს, და, ალბათ, ამიტომაც შექმნეს მშვენიერი სიმღერები ამ ლექსებზე ისეთმა საყოველთაოდ ცნობილმა კომპოზიტორებმა, როგორიც იყვნენ და არიან ბიძინა კვერცხიძე, შოთა მილორაგა, შალვა დავითაშვილი, მერი დავითაშვილი, ვაჟა აზარაშვილი, რუსუდან ხორავა, მაცაცო სებისკვერაძე.

ქართველი ბავშვები მუდამ ხალისით ეცნობიან თქვენი საყმაწვილო პოეზიის კრებულებს („დათვი მეველე“, „რა აცინებთ ბაჭებს“, „იმედა და მზის სხივი“, „ბალახები, მზე და წვიმა“, „ეს რა გამოსაცნობია“, „უკვდავია ჩვენი სიტყვა“.) თქვენი რამდენიმე წიგნი განათლების სამინისტრომ დაწყებითი კლასების დამხმარე სახელმძღვანელოდ აღიარა.

თქვენს კალამს ეკუთვნის იუმორისტული და პუბლიცისტური კრებულები. „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირადმცოდნე და პოპულარიზატორი ხართ. თქვენი ძალისხმევით ჩამოყალიბდა ამ უკვდავი პოემის ზეპირმცოდნეთა კლუბი — „გონებანი გონიერსა“. შოთა რუსთაველს უძღვენი საბავშვო წიგნები „ქაჯეთის ციხე“ და „ქაჯეთის ციხის აღება“, შექმენით ლოტო

„ვეფხისტყაოსნის“ თემაზე, ენის გასატეხები და გამოცანები. ქართული მწერლობის დიდ მეგობართან გოგლიკო შათირიშვილთან ერთად 1964 წელს მოთავე იყავით დიდი სახალხო ზეიმის — „შოთაობის“ დაარსებისა სოფელ იყალთოში.

სადაც არ გიმუშავიათ, საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორად, ლიტერატურის ინსტიტუტში ფოლკლორისტად, კინემატოგრაფიის კომიტეტის უფროს ინსპექტორად, ჟურნალ „დილას“ რედაქტორის მოადგილედ, მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილედ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ საბავშვო კაბადონების რედაქტორად, ყველგან სიკეთესა და ხალისს თესავდით, სიყვარულითა და სათნოებით ხიბლავდით ყველას.

ღვანლი დაგიფასდათ. დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით; მონიჭებული გაქვთ საქართველოს მწერალთა კავშირის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და მაყვალა მრეველიშვილის პრემიებით; არჩეული ხართ იყალთოს, წინანდლისა და ჩარგლის საპატიო მოქალაქედ.

ჩვენო შოთა! გვახარებს, რომ ვაჟაკცურად, ქართული ქედუხრელობით უმკლავდებით თავსდატეხილ უბედურებებს და ძველებური შემართებით შრომობთ თქვენი ქვეყნის სასიკეთოდ.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს მხცოვან შემოქმედს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით წინსვლას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ააატა დევდარიანი

ვინ რა იბულისხმა

ნაზამთრალი ხე ბებერი ნელა-ნელა ნაყოფს ისხავს, სიცოცხლის ეს საიდუმლო გაზაფხულმა იგულისხმა. მოგიყვებით მორიდებით, ცოტა ფრთხილად მისხალ-მისხალ, მე რასაც ვწერ და ვიგონებ, გულმა ასე იგულისხმა. სადღაც ისევ ზამთარია, თვალ მომჭრა თეთრმა ნისლმა, აბა, ჩემი რა ბრალია თუ ბუნებამ იგულისხმა. როცა ცუდი რამე გვესმის, ხშირად ვამბობთ: „ვია, მტრისას“, რაც გვეწერა ის მოხდება, ბედმა ასე იგულისხმა. თუ მესვრიან, ავიცილებ, გულში ნასროლს შხამს და ისარს, მტერმა ასე მოიფიქრა, მტერმა ასე იგულისხმა. უამრავი დრო გასულა, თუმცა არ ვარ დიდი ხნისა, გულს უკლავენ ალაღმართალს, დამნაშავეს ვილაც იცავს. სამშვიდობო გზა არსად ჩანს, სად მივიდე, ნეტავ ვისთან? დარდითა ვარ გაჟღენთილი, ცარიელი დამაქვს ქისა. ისევ დადის აქ მშვიერი, ვინმეს ბევრი რატომ მისცა, მე არ ვიცი, რას დავეძებ, არ ვუყურებ შიგნით სხვისას. ზოგჯერ შიში გადმომივლის, არ დაგვატყდეს თავზე რისხვა, დღევანდელი ჩემი ლექსი უკვე ოცი აპრილისა, კიდევ დავწერ, კიდევ ვიტყვი მოკრძალებით მისხალ-მისხალ, ვინ დაწერა ყოველივე, ვინ შექმნა და იგულისხმა.



დალი კახიანი

ვაიმე, ჩემო!

ჰოი, ნეტავ შენ, მერცხლის კვალო, ცას ხნულებად ნავლებო, გაფრენილო სიყრმის წლებო, მჩქროლავ გულის ალებო.

სიყვარულით დაქარგულო გზაო ძველი მეგობრის, უიმედოდ დაქარგულო მუხთალ ხელით მეკობრის.

ვაიმე, ჩემო ნდობავ, დობავ, გაცუდებულ იარად, ვაშა ყველას, ვინც ბენვის ხიდს უბორძიკოდ იარა.

მადლი უფალს, ვინც ნათელი სულში ტაძრად ატარა, მშიერს ლუკმა უწილადა, მწყურვალს სავსე მათარა.

დიდ წინაპარს ვინც აუნთო დედისერთა სანთელი, უპირობოდ ვინც იღვანა ფალავანის სარტყელით.

ვაიმე, ჩემო მთავ და ველო, სტეპის მგელით ნათელო, ვაზიანო, მუხიანო, ბობრი ჯიშით ნაბელო.

ვაი, ჩემო ზღვავე ფირუზის სისხლისფერად ნალებო, აიეტის სანახებო, კოლხ მედეას ბალებო.

ვაიმე, ჩემო ქართლის გულო, მაჩაბლიანთ მამულო, მუხთალ ძმისად განირულო, ტყვიის წვიმით ნამულო.

და უფრორე ძველო დარდო, თავო გადანასხეპო, ტაო, გახსნილ იარად ხარ, ოშკის ლერწამ თალებო.

ჰოიმე, ჩემო ტკბილო სევდავე, დედის ხატად ვლენილო, მონატრებავე გარდასულთა, მდულარ ცრემლად დენილო.

ჰოი, ნეტავ შენ, მერცხლის კვალო, ცას ხნულებად ნავლებო, გაფრენილო სიყრმის წლებო, მჩქროლავ გულის ალებო.

ჯიხვის რქის წვერებზე მზე შემდგარა ცერებზე, თვალს უშტერებს ნალ-მარაოს სვეტიცხოველის, სულ ასეა, გადმომდგარა ვარსკვლავთ ხომლი, ელამ ელვას რქის წვერებზე სულ ბრჭყალები ულესია, ჯიხვის რქის წვერებზე, მთვარეც შემდგარა ცერებზე, გადმომხობილა სერებზე, თვალს არიდებს ბედშავ ას კუნძს უმზერს ნდომით არნახულით, მზეს ხახულის, კვეთილ ფასკუნჯს. ყანნის ყურყურა ფსკერებზე მზე-მთვარეც ჩავარდა ცერებზე, რქის ყანნის წვერებზე ლეკურიც შემდგარა ცერებზე ხანჯალს იმარჯვებს წელებზე სატრფობო წვეულებებზე.

რა ელით იმ ნერგებს

თავს დავხრი დაღლით, ცაო, პასუხებს მოველი მალლით, მაუნყო ეგებ, მე რომ ვახარე ავდრიან დარში, რა ელით იმ ნერგებს. -ვაი-თუ სიკეთე არის დასჯადი, ჩარჩოს საზღვრებში ალბათ არ ჩადის. იქნებ ის მადლი შეიქნა ზედმეტი, რამან განსაზღვროს მნიკვი ნამეტი. იქნებ ის ნაბიჯიც გამოდგა შემცდარი, იქნებ მოიგებდა გულისთქმა ანგარი, არ დააყოვნებდა ჯილდო ლანგარით. უთუოდ შეეცდი, როს არ შევიმჩნიე, თავი ვანაცვალე უბადრუკ ჩიჩიებს. იქნებ აჯობებდა პიტალო სიმართლე, ნირს ნაუხდენდა უბადრუკ იმ გათვლებს. იქნებ ვეჩვენე სალოსად, ცეტად, გადავამლაშე ის კერძი მეტად. ტაფამწვარს ხელზე რა თავში იხლის, არ დააყოვნებს თავაზი ნიხლის. როცა არ მოზომა პირველად სიტყვა, სჯობდა დავხვედროდი კოხად და სეტყვად.

სულის ნათელი როგორ მოვზომო, ეჰ ვერ გამოდგა sapiens homo... უმადურს არ არგო სპეკალი მუჭით, დაგსუსხავს ეკალით, იქნება ფუჭი. ვინც რა არის, ბოლომდე ის არის, ღამე არის თუ დილაა ცისმარი, სჯობს შეასრულო პარტია სოლო, კუზიანს სამარე ასწორებს მხოლოდ.



მაია დიაკონიძე

ჩუმი იყო ჩემთვის ღამე

ჩუმი იყო ჩემთვის ღამე, ცეცხლი კრთოდა მოლიმღამე, შენი მზერა, თითქოს თბილი, როდი ჰგავდა ნამდვილ ღიმილს?! წვიმა ღვრიდა ცრემლის ღვარებს, ატირებდა ქარი ღარებს, საკინძეზე ამწყდა ღილი, შენთვის მხოლოდ ქვა და მლილი. ჩუმი იყო ჩემთვის ღამე, სანთლის ალზე მოლიმღამე, დაგველია გრძნობის დენთი, თითებს აჰყვა სანთლის ღვენთი, ჩემთან იყო მხოლოდ ღმერთი, დავრჩი ობლად, ისევე ერთი.

სადღაც ვიღაცა ფიქრს სვამს

სადღაც ვიღაცა ფიქრს სვამს, სადღაც ვიღაცა - კითხვას, დევებად დგანან მთები, ეგებებიან ცისკარს. ჯერარნახული ძალით ქარი მოჰყვება ხარხარს. ცხენს მოახტება დალი, გაიშლის ოქროს დალალს, ზედ მოეხმება ბევრი, სიყვარულისგან მთვრალი, დაინვებიან ცეცხლში, - ვერ აიხდენენ წადილს. არ წაადგებათ კარგად დევნა ქალის თუ ზღაპრის, მათი ცხოვრება გავა, ჩაანაცვლებენ სხვანი. ოცნება არის დალი, ქარაგმასავით მშვიდი, მზეებრ მწველი და ნაზი, კაპარჭითა და მშვილდით. ძნელია მისი დევნა, როგორც მინდორში ქარის, ტყუილუბრალოდ ევნო, ბევრმა განირა თავი. სჯობს რომ იცხოვრო ფიქრით, შეეხმიანო ჭალას, თორემ ქარი და ქალი, დღეს არის, ხვალ კი წავა.

მინდა, სახლი ავიჩინო...

მინდა, სახლი ავიჩინო, საჩემოვ და თვალის ჩინო, გაგიფინო ხალიჩები, ბალი გვეკონდეს მხოლოდ ჩვენი. რომ ხარობდეს იქ ჩინარი, დარი იდგეს უწყინარი, რომ ჩურჩულით გითხრა, ჩემო, ედემში ვართ ახლა ჩვენო. ღვთის მადლით და უფლის ნებით სიყვარულის გვედგას დღენი, თუ გვიმუხთლა ამ სანუთრომ, შემოგვიწყრა მადლისმჩენი, ტივს შეეკრავთ და შორს გავცურავთ, ქუდს მოვირგებთ უჩინმაჩინს, აღარ გვესმას ჩვენ ეს ყოფა, გავხდებით სულ უჩინარნი. მაგრამ სანამ ღმერთი გვწყალობს და შენს მკერდზე სძინავს ნიავს, ჩავიფიქრებ ჩემს ჩუმ სურვილს, სახლი მქონდეს, თუნდაც ჩია.

ღარავს მინას წვიმის ღვარი

ღარავს მინას წვიმის ღვარი, ნაუღია ღვარცოფს ღორი, ისევე იხდის გლეხი ღალას, სტიქიას ვერ ჯობნის ღონით, ღადარში ვერ ცხვება პური, კაცი გუდა-ნაბადს იკრავს, ეღირსებათ, ნეტავ, როდის, მშობლიური ცა და მინა?!

უცნაური სიკვდილი

მიმოფანტულა თეთრი თოვლი თეთრ ყვავილებად, აშოლტილ ნაძვებს დაუხრიათ სიმძიმით თავი, მოზღვავებულსა სილამაზეს ვედარ გაუძლეს, წელში გახრილან ახალგაზრდა იფანი, ალვი. სიფრთხილით მიდის ცუგა თოვლში, ჰაერის ყნოსვით, კვალს ეძებს კაცის, არ დაბრუნდა პატრონი სახლში, ღობესთან ახლოს მან იპოვა პატარა ბორცვი, გულზე დარდები შემოანვა პატრონის მორჩილს, თხარა და თხარა, თეთრი თოვლი გადიქვა მინად, მოხუცს თვალებში ჩასდგომოდა სიცივე, ყინვა, დიდხანს ულოკა ცივი ხელი გაყინულს ძაღლმა, ყვავმა ყრანტალით უსამძიმრა, ყმუილით აჰყვა.

პროლოგი

სამადლობლო ბარათი ისრაელის საზოგადოებრივი ორგანიზაციის „გულთა კავშირის“ წარმომადგენლებს: აბრაჰამ პაატა იოსებს (საზოგადოების პრეზიდენტს), ქ-ნ ნანა და-ვარს (შაბათაშვილს), შალვა წინუაშვილს, ნუგზარ ჯანაშვილს, რობერტ ადარს (აჯიაშვილს), იზოლდა მოშიაშვილს, მათ მეგობარს მერაბ მიხელაშვილს

ძვირფასო მეგობრებო! ის მიღება, რომელიც თქვენ მოუწყვეთ ქართველ მწერლებს 16 აპრილიდან 23 აპრილის ჩათვლით ისრაელში, ჩვენი ვიზიტის დროს, იყო, მართლაც, ზეიმი, დიდებული ზეიმი მეგობრობისა და ჩვენ ვამაყობთ ამით. ამ ერთკვირიან ვიზიტს ხატოვნად შევარქვით – „ორშაბათიდან-ორშაბათამდე“ და დაგვერწმუნეთ იმაში, რომ ამ ვიზიტის ყოველი ნიუანსი თანმიმდევრულად, დღეთა მიყოლებით ეცოდინება საქართველოს საზოგადოებრიობას და ყველას გული გაიხარებს იმით, თუ როდენ დიდა ქართველი და ებრაელი ხალხის ურთიერთსიყვარული, გვინდა უღრმესი მადლობა გიძღვნათ თქვენ ასეთი გულმხურვალე მასპინძლობისთვის, რომელიც, დაგვერწმუნეთ, არასოდეს დაგვაგინყდება!

ქართველი მწერლების სახელით: - ბალათერ არაბული-საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ნოდარ კობერიძე - მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი.

ჯგუფში, აგრეთვე, შედიოდა ჩოხატაურის სატყეო მეურნეობის ყოფილი დირექტორი, სახალხო მთქმელი, ბატონი კოტე თავართქილაძე.

დასვადრა სტუმრად ჩასულ ქართველ მწერლებთან დაპირისპირებით ხანძარი

ნოდარ კობერიძე

...ნათქვამია, პირველი შთაბეჭდილება გადამწყვეტია, რას არ გაიგებდით ისრაელში სტუმრად ჩასულ ჩვენს მოქალაქეებზე, ებრაელი მეზობლები და პოლიციელები უხეშად ექცევიან და ლამის საბუთების შეუმონებლად, უკან დასაბრუნებელ ბილეთს თავის ხარჯზე ალბინებენ და მერე, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე აქევენ ქვეყნიდან... არ დაგიმალავთ, ოდნავ ველავდით, საპასპორტო კონტროლის წარმომადგენელს პასპორტებს რომ ვანვივდიდით ჯგუფში სამნი ვიყავით; საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ბალათერ არაბული, თქვენი მონა-მორჩილი და ჩოხატაურის სატყეო მეურნეობის ყოფილი დირექტორი, სახალხო მთქმელი, ბარდი და აშული კოტე თავართქილაძე, რა ჩხრეკა, რა გამოკითხვა, რა საბუთების გაძიებები კონტროლი, უბრალოდ მიგვანიშნეს გასასვლელისკენ, როგორც ძვირფას სტუმრებს, ისრაელში ჩამობრძანებულებს, მართლაც „სიმ-სიმი“—ს ძახილის გარეშე გაიღო მოსაცდელის კარები და... და დაიწყო ძმობის და მეგობრობის ერთკვირიანი ფესტივალი!



პირველი, რამაც ცრემლი მოგვგვარა ბალათერისა და მისი 16-წლის უნახავი დის, ქალბატონი ეთერის შეხვედრა გახლდათ. ამან ჩვენი განცდები საოცრად გაზარდა და დაიწყო მართლაც „გულთა კავშირის“ შეხვედრა ძმებთან. აეროპორტიდან ხელიხელ ჩაკიდებულნი გამოვედით და მანქანებს მივაშურეთ. დავბინავდით ქალაქ ბათიამის სასტუმრო „ბათ-იამში“, სადაც ჩვენი ნომრის მაგიდა საესე დაგვხვდა ათასგვარი ნუგზარით. მოგვიანებით დავემშვიდობეთ ჩვენს კეთილ მასპინძლებს და თან შევთანხმდით, ხვალინდელი დილა დიდ შოთა რუსთაველთან შეხვედრით დაიწყებოდა და ამის მომსმენებს რალა დაგვაძინებდა, მით-უმეტეს, რომ ზღვა 30 ნაბიჯიდან ალელვებული გვიყვებოდა ამ გმირი ქვეყნის ისტორიას...

ნოდარ კობერიძე

...17-აპრილი. ადრინად ვდგებით და გეზს იერუსალიმის ჯვრის მონასტრისკენ ვიღებთ, მთელი „გულთა კავშირი“ თან გვახლავს ყოველ განვლილ კილომეტრზე, გული უფრო და უფრო ძალუმაღ ძვერს და აი, მემორიალი, დროშები დიდი რუსთველის ამფასით ფრიალებს; გიორგი ბრწყინვალე მახსენდება, ქართველები გაშლილი დროშებით ცხენდაცხენ რომ შედიოდნენ იერუსალიმში, მყუდროებას ჩვენი მანქანის ძრავის ხმა არღვევს. მემორიალთან ვიკრიბებით. ხელში მურმან თავდიშვილის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სრულყოფილი გამოცემა (გამომცემელი საქართველოს პოლიტექნიკური უნი-

ორშაბათიდან ორშაბათამდე

ნოდარ კობერიძე

ვერსიტეტი) მიჭირავს, განცდებისაგან ლამის გული ამომივარდეს და დიდებულ ტაძარ-სიმაგრეში შევიდვარ. ნუგზარ ჯანაშვილი ხვდება ჩემი გულის ნადებს და იმ ფრესკისკენ მივყავარ შოთა რუსთაველის სახელი რომ ჰქვია. სიტყვები და ხმა მეკარგება და აი, ნუგზარ ჯანაშვილი მიახლოვდება და ვეფხისტყაოსნისადმი მიძღვნილ თავის სტრიქონებს კითხულობს, მერე სამარისებული სიჩუმე დგება. რობერტ ადარი და შალვა წინუაშვილი გულანთებულნი დგანან და მე ვსარგებლობ შემთხვევით, ბალათერ არაბულს „ვეფხისტყაოსანს“ ვართმევ და, მე მგონი, პირველად ისტორიაში, „ვჩუქნი“ რუსთაველს - მის მიერ შექმნილ სტამბურ ნუსხით დაბეჭდილ ქმნილებას და ისიც, თითქოს ლოცვით, დიდად ბედნიერი ლებულობს ჩვენს საჩუქარს, ჩამესმის რობერტ ადარის, აბრაჰამ იოსების და შალვა წინუაშვილის მდუმარე ჩურჩული. „ვეფხ-



ისტყაოსნის“ ეს ეგზემპლარი სამუდამოდ რჩება აქ, ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია,

სანთლები ერთად ავუნთოთ გენიალურ პოეტს და მის გენიალურ ნაწარმოებს და ასე მდუმარედ ვტოვებთ ყველა ქართველის საოცნებო სამუდამო სავანეს.

გეზს ჯემალ აჯიაშვილის სასაფლაოსკენ ვიღებთ, რათა სამარადუამო მადლობა ვუთხრათ დიდ ქართველ ებრაელს ჯემალ აჯიაშვილს და მის სამუდამო განსასვენებელს და ისიც არ გვაგინყდება, ქედი მოვუხაროთ კაცს, რომლის ცხოვრების წესი ქართველთა და ებრაელთა სამუდამო სულიერი ნათესაობის განმტკიცება გახლდათ!

ხსოვნის დღე

ნოდარ კობერიძე

...გათენდა 18 აპრილი — დღე, რომელიც ყველა ებრაელისათვის წმინდათაწმინდა დღეა! ამ დღეს ისრაელის სახელმწიფოში პატივს მიაგებენ სამშობლოსათვის თავგანწირულ ვაჟკაცებს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ებრაელ ხალხს განსაკუთრებული სათუთი დამოკიდებულება აქვთ თავიანთი სახელმწიფოებრიობისადმი. მათ გულზე მჯილის დარტყმით კი არ უყვართ თავიანთი სამშობლო, არამედ ბოლომდე აქვთ გასიგრძელებული ის პასუხისმგებლობა, რომელიც სახელმწიფოს ყოფას თან სდევს. ექვსმა მილიონმა ებრაელმა იმიტომ კი არ შეაბიჯა კრემატორიუმში რომ მერე ვიღაც ვიგინდარას ანეკდოტად აეგდოთ იგი და „ელადავათ“ — ცყიდი ჩემს წილ სამშობლოსო — ეს როგორც ჩვენთან ხდება, არა, არა და არა! თვითეულ მათგანს სისხლში აქვთ გამჯდარი, რომ თუკი ებრაელ ერს არსებობა უნდა, მაშინ ისიც

ბათიამი და ზეიმი საღამო ნარილი მაოთხა

...ბეთლემი პალესტინის ტერიტორიაზე და იქ ჩვენ წაყვანას დიდი ვაჟკაცობა უნდოდა და ჩვენი მასპინძლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს გაბედეს. ბეთლემის ღვთისმშობლის ეკლესია იმ ადგილზეა აშენებული, სადაც ქრისტე იშვა. საკმაოდ დიდი აღმართი იყო ფეხით ასასვლელი და, ალბათ, ვერც ავივლიდი, რომ არა ქალბატონი ლეილა ნოდია, მისი შემწეობით შევძელი ამ აღმართის ავლა. უნდა ითქვას ქ-ნ ლეილას რომ არ ეყოჩაღა საკმაოდ ბევრს დავკარგავდი, ამ საოცარი საეკლესიო ნაგებობის უნახავად; აქ თავს მართლაც იმ გარემოში გრძნობ, სადაც ქრისტე უნდა შობილიყო. დიდი ხანი არ გაგჩერებულვართ, მალევე ავიყარეთ და მივაშურეთ იმ ადგილს, სადაც გველოდნენ. ბათ-იამში მობრუნებულეს ქალაქი სრულ სამზადისში დაგვხვდა. ქალაქი ემზადებოდა დიდი ზეიმისთვის. პორტში ვისამხრეთ და თითო ბოთლი შესანიშნავი ლუდიც დავლიეთ, ისიც უნდა ითქვას, მთელი ეს ხანობა თავს მეველებოდა ბალათერის და ქ-ნი ეთერი და პატრა კრიზისი მათ გადამატანინეს. მერე კი დაიწყო, ისრაელი საყოველთაო – 70 წლის საიუბილეო ზეიმი მოიცვა და ეს ბედნიერი ფესტივალი გათენებამდე გაგრძელდა, მეორე დღით მდინარე იორდანეს მივაშურეთ, სადაც ლამის ხელმეორედ მოვიწათლეთ საღამოთი კი აბრაჰამ პაატა იოსების სახლში დიდი ნადიმი გველოდა.

„წმინდა გიორგის საფლავის მცველი“ ნოდარ კობერიძე

...ქალაქ ლუდისკენ მიმავალ გზაზე, რომელიც უდაბნოს ყვავილნარია და სხვა არაფერი და რომლის ყოველი ბუჩქი, როგორც, საერთოდ, ისრაელში, ცალკე მიყვანილი მილით ირწყვება, საოცრე-



ბაა. ჩვენ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიისკენ მივემართებით, ეკლესიისკენ, რომლის წიაღში დასვენებულია წმინდა გიორგის ნეშტი იმ ჯაჭვთან ერთად, რომლითაც იგი აწამეს და ლეღვა, ალბათ, მხოლოდ ქართველთათვის დამახასიათებელი ლეღვა გვეუფლება — წმინდა გიორგი ხომ ქართველთათვის უპირველესი წმინდანია. ოდნავი თრთოლვით შევიდვართ ტაძარში და სიღრმიდან თეთრი მარმარილოს საფლავის ქვა გვჭრის თვალს. მოწინებით დავდივართ ფლიგელში, კუთხეში ახალგაზრდა კაცს ვამჩნევ, რომელიც თავს დაფოფინებს საფლავს. ბალათერ არაბული იმ ჯაჭვს იკეთებს კისერზე, აქეთ-იქიდან მე და კოტე თავართქილაძეც „ვბოჭავთ“ და ბალათერი ასე ემთხვევა საფლავის ქვას. მე კი იმ ახალგაზრდა კაცს გამოველაპარაკე, ქართველი აღმოჩნდა, მალე საერთო ნაცნობები გამოგვიჩნდა და დიალოგიც



ტენგიზ სვანიძე

გამოვიდა ტენგიზ სვანიძის წიგნი „ცრემლიანი მზე“, რომელიც მთლიანად ეძღვნება სიყვარულის თემას...

ცის სიშორეში გაფრინდა ფიქრი

მთას მუდამ გულზე აწვიმს და ათოვს და მთა ყოველთვის რჩება წმინდანად...

ცის სიშორეში გაფრინდა ფიქრი და გაიტაცა შენზე ოცნება.

მაინც

მე ვარ მეტყველი და მე ვარ მუნჯი, შენი სახელით დადის წამება... შემომეჩვია დარდი-ფასკუნჯი...

მონანარი შიყვარაბულ გომონასი

მწვავდა, მათრობდა გაზაფხულის მზე, მეგონა, შენით ვიყავ ცოცხალი...

რამ დაანელოს ამ გულის ტკენა, ვინ ეწაფება ახლა შენს ბაგეს?..

ერთხელ დუმლილიც აიდგამს ენას და მოგონების ცრემლად იელვებს...

ჩემს ბედისწერას წაფუველ ვერსად, მე ცრემლიანი ვნახე მზის სახეც...

მზით სავესე ჩემს გზას ვინ აგაცილა, გული მარტივით რატომ იცვალე?!

მონატრაზა

ამონათე მოგონების ცისფერ სევდიდან, ვით სიკვდილის წინ მზემ მოალერსემ...

სიწუმის სკვდა

ქარი მოვარდა ყოვლის წარმტანი, ვაითუ ჩაქრეს სულის სანთელი...

ჩალისფერ თმათა მიწყდა შრიალი, მაინც შეხვედრის ნუთებს სულ ველი...

თეთრი გვირილა

სრულყოფილი სილამაზის ხილვა ყოველთვის ტკივილს იწვევს.

შენმა თვალებმა შემომღიმილა და მე ვარ ახლა შენი ნათლია...

დაგინახე და უეცრად შევეკრთი, შენი თვალები ჩემი სარკეა!..

მოხველ ტკივილად და გაოგნებად, მზედ — შეღამების, ჩუმად რომ იწვის...

ასეა, ასე! შენ ჯადოსნური ხიბლი მოგმადლა ჯილდოდ უფალმა...

ზმანება შენი თეთრი სხეულის ტანში დამივლის, ვით ჟრუანტელი...

ვინ ამიყვავოს ზეცა ოცნების, როცა არვისგან მოველი საშველს...

როს თვალი გკიდე, გულის სწორფერო, ვიგრძენ, დავკარგე თავისუფლება...

და გულმაც დარდი ვერ მოიცილა, სულს ვერ შეღებავ მზის აკვარელით...

ნატაჰ?

განათდება ღამე — გრილი სუნთქვა მინის. მეჩურჩულე რამე იმ ცის...

მონატრაზა სიშორე შენი

გულში გიხუტებს ზეცა კრიალა, დღეა მზიანი, თბილი, უშარო...

მაინც გომონია

იმღვრევა ფიქრი ფრთებდალენილი, ქრიან აპრილის მწვანე ქარები...

წრიალებს ფიქრი ნერვებმომშლელი, რომ ვარ ზედმეტი და ვერ გელევი!..

მაინც გომონია, ხელს გამოშვერილს მაჭრი და მერე მიხვევ ცრემლებით...

მავდივარ შენგან გულჩანყვეტილი და მოკვეთილი მიმაქვს მარჯვენა.

მე ცისფერ ყვავილს მოგიტან ციდან

ჩემი ოცნების ცამოიქუფრა, აქეთ დარჩენის არ მაქვს უფლება და აგტკივდები...

ჰერ გაჰთამამდი

უცნაურია დღე საცნაური, ზოგჯერ უტყვივა სიტყვაც მართალი!..

სულში შრიალებს ცათა ფერები, ოცნების ბაღში სევდა დაცურავს...

ვის ესმის ჩემი ოხვრა და კვნესა, რად ჩამოსტირის სახე ცის კიდეს?!

რით აგიყვავო სულის თავანი, ან რით უკვდავგყო ამ ქვეყანაზე...

ალარ მეთმოზი

ისევ ივსება სული დარაბა ჩუმი ტკივილის წვით და შენდობით...

არ ვიცი, ბედი რას მემართლება, — გულშავ ფიქრებში ბევრჯერ ჩავყვინთე...



ივეტა პავლიაშვილი

ნუთისოფალი

პეტრე-პავლობის დღე იყო. ბული ას- დიოდა დასიცხულ ქალაქს. სასაფლაოს შესასვლელში ორი ქალბატონი დამხვდა...

სასაფლაოს შესასვლელთან მიკროავ- ტობუსი იდგა. მძღოლის მეშვეობით გავიგე, რომ ის მიკროავტობუსი ჩემს ახლობლებს ემსახურებოდა...

სამრეკლომ მწუხრის ლოცვა აუწყა. ეკლესიიდან ხმები ისმოდა: უფალო შეგვიწყალო! ერთ-ერთ დანესებულებაში, საქველ- მოქმედო ღონისძიებაზე ვიყავი მიწვეუ- ლი...

და შენარჩუნებული, რაც მოქანდაკის პროფესიონალიზმზე მიანიშნებდა.

მოპირდაპირე მხარეს გადავედი, შავ მარმარილოს მხოლოდ დაბადების წელი, 1882 ეწერა ფოტოს გარეშე. საფლავი სან- იმუშოდ იყო მოვლილი, ღმერთმა დიდხანს გიცოცხლოს მომგონებელი - გავიფიქრე გულში...

„ამ მუხთალ ნუთისოფელში, რას წარ- მოადგენს სიცოცხლე? ერთ ნიჟარაში ეტევა, თუნდაც ას წლამ- დე იცოცხლე“.

მერე კი, ყვავილები გარეთ მეყვავილ- ესთან რომ შევიძინე, უცნობის საფლავზე ლამაზად დავანყვე. ლოყა ამინვა ცრემლ- მა. იმ უცხო საფლავზე ჩემი მშობლებიც დავიტირე.

ამასობაში ჩემი ახლობლებიც გამოჩნ- დნენ მამაოსთან ერთად. გასასვლელისკენ გავიხეეთ. გულდამძიმებული ვტოვებდი სამარადჟამო ნავსაყუდელს. უკან მიმოვ- იხედე, სასაფლაო თანდათან ცარიელდე- ბოდა. მზის სხივები ნუგეშად ეფინებოდა მარადიული სიმარტოვის ამ დიდ უდაბნოს.

სამრეკლომ მწუხრის ლოცვა აუწყა. ეკლესიიდან ხმები ისმოდა: უფალო შეგვიწყალო!

ჩემი „დედა ენა“

ერთ-ერთ დანესებულებაში, საქველ- მოქმედო ღონისძიებაზე ვიყავი მიწვეუ- ლი. შესასვლელში პატარა ჯიხურში დაცვის თანამშრომელი იჯდა. ჩემს წინ ათობით ადამიანმა უპრობლემოდ გა- იარა, მეც მათ მივყევი, მაგრამ დაც- ვამ საშვი მომთხოვა. შევწუხდი, საშვი არა მაქვს-მეთქი ვუპასუხე და ბოდიში მოვუხადე. ვერ შეგიშვებთო მითხრა. არადა, თან პირადობის მოწმობაც არ მქონდა. კვლავ ჩანთაში დავინყე ძებნა, ჩემდა გასახარად, რვეულის შუაგულში სათუთად ჩადებულ ჩემს პატარა წიგნს მივაგენი და ჩემი გულის თანამგზავრი, პანანინა „დედა ენა“ გავუწოდე. ამის მეტი საბუთი ამჟამად არა მაქვს-მეთქი, ვუთხარი. გაკვირვებულმა ყმანვილმა წიგნი ჩამომართვა; წიგნი თავისით გა- დაიფურცლა დუტუ მეგრელის ლექსზე - „პატარა ქართველი“. გაეღიმა ყმანვილს და დაბლოკილი შესასვლელი გამიღო.

ასე მიხსნა ჩემმა სანუკვარმა „დედა ენა“ -მ უხერხული სიტუაციისაგან.

ქვეყანაში კვლავ დათარაშობა ანტიროვნული კალაპი?

სადამდე გაიდგავდა ფესვებს წინა ხე- ლისუფლების დროს არსებული ფაშის- ტური რეჟიმი კაცმა არ იცის... ძლივს ნელ-ნელა იმ ბურუსიდან და სიბნელიდან გამოდის ერი, რაშიც ამყოფებდნენ, იმ სიბნელიდან, სადაც ეროვნულ ხმას ძალ- ით ახშობდნენ, თელავდნენ დიდი ილიას იდეოლოგიას და ქვეყნის სხვა რელსებ- ზე გადაყვანას ცდილობდნენ, რომელიც აცდენილი იყო სახელმწიფოს ინტერესე- ბიდან. ეს იყო ღია ომის გამოცხადება იმ მონაპოვარზე, რაც კი ოდესმე რამე შეუქმნია და უშენებია სრულიად ქარ- თველ ერს. აი, ეს იყო წინა ხელისუფლების დიდი უგუნურება, თამამად შეიძლება ითქვას, თვითლიკვიდაცია. გონიერი ხე- ლისუფლება არავითარ შემთხვევაში არ დაინყებს სახელმწიფოებრიობის ფესვე- ბის მოთხრას - ეს იგივეა, რომ ღმერთს დაუპირისპირდე...

სადამდე გაგრძელდებოდა საქარ- თველოში დემოკრატიულობანას თამაში, რომ არ გამოჩენილიყო ახალი სამთავ- რობო ძალა. ყველამ კარგად იცის, რომ „ნაცები“ დღემდე ცდილობენ გამოიყენონ (გარკვეული) მედია საშუალებები იმისთ- ვის, რომ ერი ფსიქიკურად დათრგუნონ და ყოველგვარი ოპტიმიზმი გაუქრონ. ამ ძალას აქვს მცდელობა სამთავრობო გუნდში საკადრო ცვლილებები (რომე- ლიც ოპტიმიზაციის პრინციპებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარეობს) „სხ- ვანაირად“ ახსნას. მოვლენების ისეთი ინტერპრეტირება მოახდინოს, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება.

სწორედ იმაში გამოსჭვივის ხელისუ- ფლების დემოკრატიისკენ სწრაფვა, რომ მიუხედავად „ნაცების“ არაერთგზის მც- დელობისა, გააგრძელონ „ფეიქნიუსები“ ხელისუფლების პრესტიჟის შესაღახად, მთავრობა არ პასუხობს ისეთი ფორმებით, რომელიც საქართველოში დემოკრატიის განვითარებას შეუშლის ხელს. როგორც „ნაცების“ დროს ხდებოდა, ოპოზიციის მიმართ გამოხატული აგრესია, რაც სინამ- დვილოში დემოკრატიისთვის ნითელი შუქ- ის ანთებას ნიშნავდა. (ამის მაგალითად მოვიყვანდი აქციების უხეშ, ძალისმიერი მეთოდებით დარბევის ფაქტს, თუნდაც ავილოთ ტელეკომპანია „იმედის“ დარბე- ვის ფაქტი, კიდევ უფრო უარესი „იბერიის“ ხვედრი). როგორი უგუნური უნდა იყოს ხელისუფლება, რომ მთელი ცივილური სამყაროს დასახანად დაუპირისპირდეს ოპოზიციას და ხალხს აზრს. ამავე დროს დემოკრატიულობაზე დებდეს თავს?

დღეს „ნაცებს“ დიდ დისკომფორტს უქმნის ოპოზიციურ ამპლუაში ყოფნა. (ვერ ეგუებთან უმაღლესი ხელისუფლების სტატუსის დაკარგვას) უბრალოდ სახელი- სუფლებო გუნდში ყოფნის დროს მარ- ტივად იყო ყველაფერი მათთვის - როდე- საც არ უსმენდნენ ხალხს და ყოველგვარი ეროვნულის განადგურებით იყვნენ გარ- თული. დღეს კი ოპოზიციის ფუნქციასაც კი ვერ ასრულებენ. ჯანსაღი ოპონირების ნაცვლად ცდილობენ ხალხს თავგზა აუბ- ნიონ და სწორი პოლიტიკური აზროვნების უნარი დაუკარგონ. ავილოთ მათი მცდ- ელობები: ხალხს დააჯერონ, რომ უფრო მეტი იციან ქვეყნის განვითარების საქმე- ში. თუ ეს ასეა, მაშინ მანდატი, რაც ხე- ლისუფლებაში ყოფნის დროს ჰქონდათ, საპირისპიროს კეთებაში რატომ გამოი- ყენეს? ეს და სხვა მრავალი ლოგიკური

კითხვა რჩება, მაგრამ მგონი საქმე იმა- შია, რომ ეს „ძალა“ ვერ ეგუება ხელი- სუფლებას, რომლისთვისაც ეროვნული საქმეა პირველ რიგში პრიორიტეტული. სწორედ დღევანდელმა ხელისუფლებამ გაუღვიძა ხალხს იმის იმედი, რომ სამარ- თლიანობა აღდგება და საქართველოში გადამთიელი უცხოელი ველარ დაჩაგრავს ქართველს. და ეს ასეც უნდა იყოს, ხელი- სუფლებამ ყველაფერი უნდა მოიმოქმე- დოს, რომ საქართველო გათავისუფლდეს იმ მტრების კლანჭებიდან, რომელიც ქმ- ნის იმის ნიადაგს, რომ ქართველი თავის მიწაზე უცხომ დაჩაგროს და დაიმონოს და მერე ამ ფაქტს თუ რეაქცია მოყვება ქართველების მხრიდან, აღიქმება, რო- გორც ძალადობა და კიდევ ვინ იცის, რა ახსნას მოუძებნიან, რომ ის მუხანათური საქციელი „გააპრაგონ“, რომელიც შემ- დევში ქართველი ერის საწინააღმდეგოდ იმუშავებს საერთაშორისო საზოგადოე- ბის თვალში.

ზინაიდა უძილაური

ზურაბ მამულაშვილი

ჰანი ღიმილი

მარი ცომაიას

დილით ადრე ცისკარი რომ თეთრად გამოაშუქებს, ვენაცვალე იმ ანგელოზს, შენ რომ ღიმილს გაჩუქებს.

ამის მერე მზის სხივები, როცა აკიაფდება თვით ლამაზი ტყის იები შენთვის გაიბადრება.

აბა, რალა დაგაძინებს, გინევს თვალის გახელა, ბედნიერი იმითა ხარ, მარი გქვია სახელად.

ღვთისმშობელი მარიამი არის ქრისტეს მშობელი, შენც ისეთი ძე უნდა შვა, ქვეყნად მიტომ მოხვედი.

დღე და ღამე ალამაზო ქალაქი და სოფელი და შენ შემოგციცინებდეს აქ სულდგმული ყოველი.

შენ უფლისგან ჯილდოდ გერგო სილამაზე ღვთიური, და მიწა რომ შენც შეირგო ყოფა ამ ქვეყნიური.

გულში სევდა არ გაივლო, უფალს სევდა არ უყვარს და გაჩუქებს აქ სიცოცხლეს საოცარს და სანუკვარს.

მხოლოდ სწავლით თუ გაიტან ამ ცხოვრების ლელოსა, ცოდნით, ცოდნით დაუდგები მთლიან საქართველოსა.

კარგს გვერდით დადექი და იყავ ცუდის მგმობელი, თუ გინდა რომ გაახარო მუდამ შენი მშობელი.

ნინო დარბაისელი

გაიოზა

მიმოზები, ტიტები და გვიანი იები
 გეგებება მიმავალს წყება,
 წყება,
 წყება.
 ცოდვა ცოდვას მიება,
 გინდა მონანიება,
 გინდა მადლით ავსება,
 ბრალის დავინყება.
 გინდა აღიარება,
 შვების ცრემლთა ღვარება,
 (ვისაც ელი -
 ამქვეყნად აღარ იარება).
 მოთმინება იობის,
 ჟამი ლიტანიობის,
 წრფელი, საყოველთაო
 ლოცვა-ზიარება
 გეზიდება, გინდება,
 გეყოს გამბედაობა,
 მასთან აღარ დაება, ვინც
 უფალს ედავება,
 სული დაიობა.
 ნულარ შეგეშინდება, შენც
 ითხოვო შენდობა,
 ლოცვა ნუ მოგწყინდება!
 ზეცა მადლით ბრწყინდება,
 უხმობს ყველას ტაძრისკენ
 ბზობა-ბაიობა.

ჯტიული - თეპერვალი

ბარდნისო.
 რა ბარდნა!
 ეს - ანგელოზები, ცაში გაფიჩხული
 გუნდად ცვივიან და
 კენტად ვარდებიან,
 ეკალ-ბარდებიან ქალაქს ბარდებიან,
 სიკვდილს ბარდებიან ისევ.
 თოვლი - შელახული ფეხით და
 ტალახით
 რაღაც, ხათრიანად ქალაქს
 დასდებია ალაგ.
 დღეა არეული,
 რაღაც, ერთდროულად
 თბილი და უხეში,
 მწარე.
 თუ ხეში წყალია,
 რომც არ მოჟონავდეს,
 ნიშნავს - ცოცხალია...
 (იქნებ).
 ცამდე - ნაცრისფერი და თალხი ფერია,
 და კაკაფონია -
 ასეთი ფონია -
 ქალაქი კი არა, ნაქალაქარია;
 ამ ფონზე - პირღია, წრიული მონასმით -
 ხელით ნაჩქარევით
 ლაქა მოყვითალო არის მონიშნული -
 მზეა.

დაბლა - მომუჭული ციცქნა ლაქებია,
 სილურჯე- სინითლის
 ორგვარი ნაზავი;
 ღერი - მარჯნისფერი ჭიაცელებია,
 დაიარებიან ძაფით შეკონილი განიერ
 მწვანეში,

იებია თუ ყოჩივარდებია,
 მინიღამ მოდიან?
 ციდან ვარდებიან?
 ცვენა.

ადამიანები,
 ადამიანები,
 ადამიანები ჯერ ისევ არიან!
 ეძიე!
 იპოვი!
 (ალბათ)

იები- პირველი,
 ყინულზე - ნარვალი,
 ყინვის საბერველი -
 მწველი თებერვალი.

ანატორი

აკლდამები - შორთა შორი,
 ძელი,
 ძვალი ძველისძველი
 და აკვანში - ჩონჩხი ჩვილის
 და აკვანზე დამხობილი ჩონჩხი დედის,
 ზედ დამკვდარის,
 ისევ არის?
 ისევ უვლის შორით არეს
 ცის ფრინველი და ნადირი?
 ისევ ისმის ღამ-ღამობით ხმა, სამარხზე
 დანატირი?

თუნდა მომხედურს ხმლით მისდევედე,
 შეაჯერო ქვეყნის კიდე,
 თუნდა იჯდე საფიხვონოზე
 ან მთის ფერდზე სამკალს მკიდე,
 თუნდა იყო ჭაუხებში ხარ-ირემთა
 გადამკიდე,
 თუ დაგრია ჭირმა ხელი, სოფელს
 ცოცხლად გაერიდე!
 აკლდამისკენ გზა იცოდე,
 იყავ, როგორც ქვა და ლოდი,
 სიკვდილს მარტო დაელოდე!

რად მომგონდი, ქვაგ ნანყობო,
 ქვაგ ნაძლებო,
 ქვაგ ნაშალო,
 ჯავრი როგორ მოვიშალო,
 თუ მთას ჩემი შერჩა სული?
 დღეში ორჯერ მზეჩასული,
 წამომშლელი წარსულ სენთა
 რა ჯანდაბად გამახსენდა
 ანატორი,
 ანატორი,
 ავი ბედის დანატორი!



შოთა ლეჟავა

 წამართვეს ზღვა, ცა, ხმელეთი,
 მადის მომგვრელი ჰქვიო,
 დავდივარ, როგორც ყრუ-მუნჯი,
 ის ვიცი, შოთა მქვიო.

 მარწუხებით ამომგლიჯეს
 ჩემი ქართული ენაო,
 ამ დედამინას გავცილდი
 და ცაში ვინყე ფრენაო.

დედა
 დედავ, მშობელო, სულო და გულო,
 შენ ჩვენზე ზრუნვით გათეთრებულო,
 ზოგჯერ გულ-ღვიძლით ამოფუფქულო,
 ზოგჯერ ნათელი სახით ქებულო.

შენ ხომ ალერსით გზას გვინათებდი
 და ქართულ ნანას გვეტყოდი მღერით,
 საკუთარ რძით რომ გვასაზრდოებდი,
 „ნანინა“ გვზრდიდა მომავლის რწმენით.

ვაი დედას რომ დავიძახებდი
 ნუ შიშობ, დედის ხმა ისმის,
 ქვას ფეხს წავკრავ და ვაიმე დედას
 აქა ვარ, შვილო, დედა გასძახის.

ქვას ფეხს წავკრავ და წამოვიძახებ,
 „ვაიმე, დედა“, მომაგონდები,
 ის შენი ნანაც მომაგონდება
 ახალგაზრდული ყრმობის სიზმრებში.

 მიყვარს ჩემი სიონი და
 ნარიყალა, მეტეხ-მტკვარი,
 ჩემი ძველი თბილისი და
 ეს მთაწმინდა, მთვარე წყნარი.
 მიყვარს ჩემი ძველი მცხეთა,
 სვეტიცხოვლის მალლა ჯვარი.

 მუზამ დამიმარტოხელა,
 არც აცია, არც აცხელა,
 ფიქრის ტახტზე მიმიმწყვდია
 და ფეხებით გადამთელა.

თვალეები რომ გავახილე,
 აღარ მახსოვს არაფერი,
 სასთუმალთან ლექსი დამხვდა
 მუზის ხელით დანერვილი.

 როგორ ვწერო სიყვარულზე,
 გაქრა ჩემში სიყვარული,
 სკოლის ასაკს ვუბრუნდები,
 ვფიქრობ, მოვა გაზაფხული.

როგორ ვწერო სიყვარულზე,
 აღარ ვიცი, ნეტავ სადა,
 ყველგან არის, ჩემო შოთა,
 მთადა, ზღვადა, გზადა, ცადა.

ნუთუ არ გახსოვს, სამშობლოვ!

ნუთუ არ გახსოვს, სამშობლოვ,
 გიმღეროდი ცრემლით ნანას,
 აღარა გთხოვ მე არაფერს,
 ნუ დაკარგავ იავნანას!

ნუ დატოვებ ქეთოს მარტო,
 მისი სულის ანაბარა
 და შენს გულში ჩაიხუტე
 და უმღერე იავნანას.

დაანებე, საქართველოვ,
 თავი თვალზე-ხუჭობანას,
 თუ დაკარგავ ქართულ მინას,
 ქართულ აკვნის იავნანას.

გაახილე თვალეები და
 კვლავ იმღერე „იავნანა“.
 მოგტაცებენ იმ შენს ქეთოს,
 ვინ უმღერებს იავნანას.

დავარწიოთ ჩვენ აკვნები,
 ეს მომავლის ჩვენი ნანა,
 ეს ქართული „იავნანა“,
 ჩვენი აკვნის „იავნანა“.

 საქართველოში წამართვეს
 ჩემი კუთვნილი მინაო,
 თექვსმეტი საუკუნე ხომ
 გულში ცეცხლივით იწვაო.

ენა უნდა ამომგლიჯონ,
 ჩემი ქართული ენაო,
 თავს ზევით ძალა არ მქონდა,
 ცაში დავინყე ფრენაო.

 მეთორმეტე საუკუნეს
 პოეზია გვერდით მყავს,
 ვინ გაბედავს, ხელს ვინ ახლებს
 რუსთაველის ვეფხვის ტყავს.
 ქართველ ქალის სილამაზეს,
 თამარ მეფე-დედოფალს,
 კვლავ ვუმღერი სვეტიცხოველს,
 ჯვარს-არაგვ-მტკვარ-მეტეხ-სიონს.
 მთაწმინდას და ნარიყალას,
 პოეზიის კავკასიონს.
 მეთორმეტე საუკუნეს
 ვუმღეროდი, ახლაც ვუმღერ,
 ნეტავ, რა შედარებაა,
 მე ჩემს საუკუნეს ვუმღერ.

 ვიცი, რომ ვიცი,
 ამიტომ ვტირი,
 მე ამ ცხოვრებას
 „ვიცი“ მივტირი.
 მივდივარ ვმღერი,
 ჰერი და ჰერი,
 ამ „ვიცი“ ვტირი,
 ამ „ვიცი“ ვმღერი,
 ამ „ვიცი“ ვიცი,
 სად მივიმღერი.

 რუსთაველზე მივლიდინებ,
 ჩემთვის ჩუმად, მარტო,
 შიშის გრძნობა დამეუფლა,
 შეუპყრივარ რატომ?
 გზააბნეულ კაცსა ვგავარ
 რუსთაველზე მარტო.



დავით ახლოური

* * *

ჩემი მზე
იმ ღრუბელს ჰგავდა,
რომელზეც
მიაბზე გუშინ...
არ ვიცი,
რა ვუყო ამ დარდს,
ტკივილად
რად მოხველ
გულში...

თუმცა კი
ვეძებდი დიდხანს,
სიმშვიდე
ვერსაით ვპოვე...
ნადიო, -
გინდა რომ მითხრა,
თვალეები
დარჩენას მთხოვენ...

არ მინდა
სხვა შეგრჩეს
ვალად,
სიცოცხლე
მას უნდა მისცე, -
ვისთვისაც
მოხვედი ქალად,
ვისთვისაც ეგ გული
გიცემს!..

* * *

სარკმლის მიღმა საუბრობდნენ ორნი,
სილუეტი უფლის ნახატს ჰგავდა...
სიყვარული არც რამეა მგონი,
ფიქრისა და მოფერების გარდა.

დღეც ხომ ბოლოს ღამის გვერდით წვება,
დღის და ღამის აღერსია ბინდი...
სიცოცხლის გზა - მინდობილი ვნებას,
ბოლოს მაინც სარეცელთან მიდის...

მე რომ მიყვარხარ,
მგონია, რომ
უყვარხარ ყველას,
მთელ სამყაროზე
ექვიანობს
ახლა ეს გული.
ვინც სიყვარული
ინაზა და...
ღმერთს სთხოვა შველა,
ასე მგონია
შენზე იყო
შეყვარებული...

რა ეშველება,
ალარ ვიცი,
უშენოდ ამ ხალხს,
რა ეშველება

ამ ქვეყანას
შეცვლილს, ვნებიანს...
ასე მგონია,
ვერ ამჩნევენ
ჩემსავით,
სხვა ქალს,
ასე მგონია
შენს სიყვარულს
მეცილებიან...

ჰოდა, ამიტომ
მიმანჩიხარ
სამყაროს ფასად,
ჰოდა, ამიტომ
გნებდებიან
ვნებულს
გულეები...
მე რომ მიყვარხარ,
მგონია, რომ
უყვარხარ სხვასაც,
ვეჭვიანობ და
უმიზეზოდ
გებუზღუნები!

* * *

მჭირდები როგორც ჰაერი,
მჭირდები როგორც წყალი.
მჭირდები როგორც იმედის
ფერმკრთალი ნაპერწკალი.
მჭირდები როგორც ნუგეში,
როგორც საგზალი ხვალის
მჭირდები როგორც რწმენა და
სინათლე ორთავ თვალის.
მჭირდები როგორც ნიავი,
მჭირდები როგორც ქარი...
მაგრამ ყველაზე მეტად კი
მჭირდები როგორც ქალი...

* * *

ჩემი იქნები,
სხვა გზას მაინც არ დაგიტოვებ,
დეკემბრის ღამეს,
შეშლილივით როცა ითოვებს
მოვალ შენთან და
საპატარძლო კაბას მოგიტან,
იებს გაჩუქებ ქრისტეშობის
პირველ თოვლიდან...
მოგეფერები,
დაგავინყებ
„მართალს და მტყუანს“

ხომ ოცნებობდი თეთრ კაბაზე?
ვერ მეტყვი უარს.

* * *

მქონდა საფიქრიც და საბატონოც,
მზესთან სიახლოვეს არ ვიშლიდი...
გულში ჩამისახლდა, ქალბატონო, -
თქვენი მომხიბვლელი ქალიშვილი...

მისი სილამაზის დავალებით,
დღესაც ინერება სტრიქონები...
ბევრჯერ ჩამოვშალე დალალები,
მერე რაღაც მიზეზს ვიგონებდით.

ისე შემეყვარდა თქვენი გოგო,
ყველგან სიყვარულზე ვსაუბრობდი.
ოი, რა ვუთხარი მთვარის მომგონს,
მთვარეს ქურდებივით გავურბოდით...

დღესაც გულში მრჩება საბატონოდ,
დღესაც ვერ შევძელი დავინყება...
მეტს ვერ მოგიყვებით, ქალბატონო,
მეტი როგორ გითხრათ, გამინყრება!

* * *

როგორ ვარ?
- რა ვიცი...
არც ისე,
როგორც სურს
ძმასა და მოყვარეს.
ყოველდღე
გზას ვუთმობ
ნარცისებს,
რომლებმაც
ღიმილი მომპარეს.

როგორ ვარ?
- რა გითხრა...
ისე რაა...
ვხედავ რომ,
დღითი დღე
ვბინდდები.
ფიალა
ბალღამით ივსება,
შარბათით
სავსეა ჭიქები

და მაინც
ფიალას გამოვცლი,
ნანყენი
არ დამრჩეს
სუფრა რომ...
როგორმე
თუ მიწას
გამოვცდი,
კალთაზე გემთხვევი,
უფალო...

როგორ ვარ?
- არ ვიცი,
რა გითხრა...
ისე რაა -
გიღიმი ამაოდ...
ალარ მსურს
დარჩენა
აქ დიდხანს,
მე ცოდვილს,
ნუ მიწყენ,
მამაო!!!

* * *

შემოაბიჯა დეკემბერმა
წუხელ ამაყად,
უკვე აცივდა,
ჩამომდგარა
ღამე თავნება...
თოვლი დაფარავს
ჭადრის ფოთლებს
ალბათ ამაღამ
და შემოდგომა
ერთხელ კიდევ
დამენანება...

* * *

ინვიმებს და დასველდება ქუჩა,
ნანვიმარზე ხეტიალი მიყვარს...
ნეტავ რატომ გამებუტე ურჩად,
მე ამ ქვეყნად
შენზე კარგი ვინ მყავს?

ინვიმებს და ალბათ მეტყვი ისევ:
- ამ წვიმაში რა მინდაო გარეთ...
ვიდრე ქარი გადარეკავს ნისლებს,
ვიდრე წვიმას დაგვაინყებს მთვარე,

ინვიმებს და ვისეირნოთ ერთად,
ნანვიმარზე ხეტიალი მიყვარს...
სხვა კი არა, შენ გინამე ღმერთად,
მე ამ ქვეყნად
შენზე კარგი ვინ მყავს...

* * *

სიყვარულისათვის უნდა მოვიცალო,
უნდა გინახულო ქალაქს...
ისეც გაგვიღიმებს დღესაც მგონი ცაო,
სადმე მივიყუწოთ, ქალავ.
მე მთისას გიამბობ და შენ თქვი ბარისაო,
ჩუმად დაგიკოცნი თვალეებს,
ფიქრი ნუ გექნება მერე მთვარისაო,
არავისთან იტყვის მთვარე.

სიყვარულისათვის უნდა მოვიცალო,
უნდა ვინახულო ერთი,
ფიქრებს გამოვყევი ქალაქელო ქალო,
სადმე მივიყუწოთ ჩვენთვის...

კიკინეპიანი გოგო

ჩემს ჯიბრზე სხვის ბედად გაჩენილი,
როგორ მომენატრა როგორ, -
ხსოვნაში ლანდღვით დარჩენილი
კიკინეპიანი გოგო...

ნეტავი ვინ ჰკადრა ხვაშიადი
ან რატომ დაადგეს თვალი?!
ხსოვნაში ჯერ კიდევ ბავშვი არი,-
პატარა წვრილკანჭა ქალი...

* * *

სოფლის შარაზე
ამღვრეული
ნისლი ბანცალებს
და მთვარის ჩრდილში
თეთრი კალმით
სტოვებს ავტოგრაფს...
დაბადებამდე
ერთი ნეკნი ამომაცალეს,
იმ ნეკნის ბედი გამახსენდა
ახლა რატომღაც...
ვინ იცის,
იქნებ ცრემლად შერჩა
ისიც ნამნამებს,
ან მირკანივით შეენაცვლა
დანთებულ წივას...
დაბადებამდე ამოცლილი
ნეკნი მანამებს,
რომ მაგრძნობინოს
უშენობა
რარიგად მტკივა.

* * *

რაც იყო, იყო... რაც მოხდა, მოხდა...
გულში იღვრება დეკემბრის ჭავლი.
ვერ მივატოვე ტკივილი ოხრად
და კვლავ ვიხსენებ წარსულს და ჩავლილს.

არც რამეს ვნანობ, არც რამეს ვდარდობ,
სანანებელი რაა ბატონო?
დარჩენილიყო ტკივილი მარტო,
შემეცოდა და... დღეს მე ვპატრონობ.

იძ...

იქ ყველა ტკივილი წაიშლება,
სახიდან ღიმილი ჩამოდნება,
სხეული თანდათან დაიშლება,
ხორცი ჩალპება და ჩამოჭკნება.

მინა ისევ მინად გარდიქმნება,
დიდი მდუმარება დაინყება...
სული, სული ჩემი სად იქნება,
ნეტა ცის კარი თუ გაიღება...

იქ
ყველა ტკივილი
წაიშლება?..

შარშან ჩვენმა გაზეთმა გამოაქვეყნა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის, ცნობილი პოეტის, თენგიზ სვანიძის წერილი, თუ როგორ დარჩა პატიოსანი კაცი ამ მთავრობის ხელში სრულიად უსახსროდ. იმ წერილს ჩემი მინანქრიც დავერთე, ბიზნესმენებს მივმართე: იქნებ დაეხმარათ 80 წლის პოეტს-მეთქი. დაიჯერებთ? დღემდე ერთ ბიზნესმენსაც არ გამოუთქვამს სურვილი მოხუცს წამლის ფულით მაინც შენეოდა.

რა ვუთხრა ასეთ გულგაციებულ საქართველოს!

რევაზ მიშველაძე

უკომპრომისო სტრიქონები

სიკვდილია ჩემი საესავი, მე უბედურს მერგო ეს რა ხვედრი?! გულს მიძიძგნის დრო - უძღები სვავი, ღმერთო, დროზე წამიყვანე, გვედრი! მომიტანა ჟამმა ეს რა ყოფა? - ვენიერები განაწამებ ლოდინს... სულგაციდულ კაცთა შორის ყოფნას, მირჩვენია, გულზე მედოს ლოდი! მკერდს დაირტყით თანაგრძობის მჯიღი, ვიდრე დაჭკნა ვარდი, სულში რგული... კაცის ცრემლი ნუთუ არად გიღირთ, რა ეშმაკმა გაგიცივათ გული! ლექსებს ჩემსას დრო შემოინახავს, კაცი ავობს, დრო არ არის ავი?! რა ხანია, შვებად ველი ლახვარს, - ქრისტიანმა ვერ მოვიკალ თავი!

მწუხრისაგან გული ვერ გავზანე, ვანებ ცრემლში კალამს და თქმას ვბედავ, - გულბოროტი, მატყუარა, მაენე ვერ შევიქმენ და მეტირა დედაც! იგი ტყუის, გონის მიღმა ვინც ბჭობს, ზნეკეთილი კაცი დარდის ტყვეა... გაძალღებულ ამგვარ ყოფას მიჯობს, დაეხალო გულს ბერდენკის ტყვია! „შაფვიქროსანს“ რაღა უნდა მკითხოთ, სიცოცხლეში დავალ გარდაცვლილი! ბერიკაცი, მარტოსული ვითხოვ ჩემსას, - ხომ ვარ მეც ამ ქვეყნის შვილი, სიბერის ჟამს ეს მელოდა ნუთუ? (სამართალი არასრულე, ღმერთო!), პარლამენტის „ვერდიქტს“ ველი, გუნდურს, დაადევით სიკვდილს ჩემსას „ვეტო“!

თენგიზ სვანიძე

საქართველოს მწერალთა კავშირი

საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის გადწყვეტილებით შეიქმნა მწერალთა კავშირის ცხინვალი-ახალგორის რეგიონული ორგანიზაცია, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა პოეტი დავით ახლოური, მოადგილეებად: ნიკო ოთინაშვილი და რობერტ ოდიკაძე.

მწერალთა კავშირთან შეიქმნა, აზერბაიჯანული განყოფილება და მის თავმჯდომარედ დაინიშნა საქართველოში მცხოვრები ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტი და მთარგმნელი ალაჰვერდ ტაქლალი.

საქართველოს მწერალთა კავშირის წესდების შესაბამისად, 15 ივნისიდან ბათეთერ არაბული გათავისუფლდა თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებისგან. თავმჯდომარის მოვალეობას ერთი წლით შეასრულებს თემურ ჩალაბაშვილი.



თამარობა დღეს მწერლის სახლში თბილისის მერიის კულტურის სამსახურის თანადგომით ჩატარდა ღონისძიება „ეპოქა და ქალი“, რომლის ინიციატორები იყვნენ მაცვალა გონაშვილი, ირმა კეკელიძე და მზია ჯაში. იმ დღეს მწერლის სახლში მართლაც ვარსკვლავთცვენა იყო. გადარდა, რომ ყოველი 14 მაისი, თამარობა აღინიშნოს ყოველწლიურად და ქვეყნის რჩეული ქალბატონები დაჯილდოვდნენ თამარიონის ენდამით სხვადასხვა ნომინაციებში.

ამ დღეს დაჯილდოვდნენ: მარია კვალაშვილი, ლანა ლოლობერიძე, ნაირა მარშანია, ნათელა პატარკაციშვილი, ნონა გაფრინდაშვილი, ელდარ შენგელაია, მათა მიქაბერიძე, მანანა დანგაძე და სხვები.

ეთერ აფაქიძე

არჩილ ტატუნაშვილის ხსოვნას

როცა წამებისაგან ყველაფერი გტკიოდა, შენს ძარღვებში ქართველი კაცის სისხლი ყიოდა. ქართველად გაჩენილი, მოკვდი ისევე ქართველად, ვერა, ვერ გაიმეტე დროშის ფეხით გათელვა. სიკვდილი რომ სიკვდილია, ისიც არ დაგაცალეს, მართლაც უგულოებმა, გულიც ამოგაცალეს. „ბიჭოვ, დედის ტკბილი რძე რა ტკბილად შეგრგებია, მამულისთვის სიკვდილი რომ არ დაგზარებია“. მტერო, ფრთხილად იყავი, ჯერ გვიანი როდია, მის მსგავსი ვაჟუცები კიდევ ბევრნი მოდიან. ვერა, ვერ მოგვერევი, დაიხსომე ესოდენ, ტატუნაშვილთან ერთად საქართველოს გვესროლე. მთელ მსოფლიომ გაიგო, ჩვენ ვართ ცამდე მართლები, ღმერთმა შენც შეგაჩვენოს, შენი მავთულხლართებიც. წილენის მიდამოებში ივლის შენი აჩრდილი, პირნათელი მიუხველ დიდ წინაპრებს არჩილი!

ალარა გვაქვს ქართველ ერს მოთმინების საზღვარი, მტერი მაინც ვერ გაძღა ჩვენი სისხლით მაძღარი, ქვეყნის მესვეურებო, სამართალი აღდართ, უსამართლო ოკუპანტებს დაატეხეთ თავზარი!



ტაჯიკმა ბავშვებმა საუკეთესო საჩუქარი მიიღეს. გამოვიდა ორენოვანი საყმაწვილო წიგნი „მეგობრობის თაიგული“. წიგნი ქართულ და ტაჯიკურ ენაზე შესულია ნინო ბეზარაშვილის და იუსუფჯონ აჰმადზოდას მოთხრობები. დაგეგმილია მსგავსი წიგნების გამოცემა გაგრძელდეს. იუსუფჯონ აჰმადზოდას სურვილია ესტუმროს საქართველოს და ქართველ მწერლებთან ურთიერთობის შედეგად გამოსცეს ქართველი მწერლების ნაწარმოებები ტაჯიკურ ენაზე.

სასსოვნარი

პოეტ ლიდა სტვილიას ხსოვნას

მაგიდაზე მიდგას ეს ღარნაკი შენი, ახლაც ამწნევიან ნათითური ხელის. ვუფრთხილდები, ვუვლი, მიტომ მიყვარს გულით, შენგან მორთმეულია დიდი სიყვარულით. მენატრები, შენთან მოფერება მინდა, შენი გულიც იყო ამ ბროლივით წმინდა.



რეპლიკა

უნდა დასრულდეს

ჩემს მშობლიურ სკოლაში უკვე მეორეჯერ, 2017 და 2018 წლებში შემანყვეტინეს პედაგოგიური მოღვაწეობა, შეთხზული ბრალდებებით, ცრუ მონმეებით, ფარული აქტებით, გაყალბებული ოქმებით. ვწუხვარ, რომ სამტრედიის 4 საჯარო სკოლაში დემოკრატიული სტრუქტურები სადამსჯელო ორგანოებად აქციეს, დამცირება, პროვოკაციები ყოველდღიურ მანკიერებად გაითავისეს. ჩემო ახალგაზრდებო, იმდენად დიდა მათი ასპარეზი და მონაწილეობა სია, არ ღირს ყურადღების შეჩერება. მთავარი ის გახლავთ, რომ სახელმწიფომ დაიცვას ღირსეული მოქალაქის, ამ შემთხვევაში ღირსეული პედაგოგის, მოსწავლის, მშობლის უფლებები, სწორედ სამართლიანობის დაცვას შერჩევითი სამართლისაგან, ღირსების დაცვას შეეწირა თქვენი პედაგოგი, ეს კარგად უნციოთ, ახლა საჭიროა სახელმწიფომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პატარა დიქტატორებისაგან გამოიხსნას სკოლები!

ღვთის რჩეულებო, ვუსმენ თქვენს სიტყვებს, განსჯით დანერღლ ღვთიურ სამართალს, მეც მეზრალემა ის მედროვენი, მასწავლებელზე ხელს რომ აღმართავს, პატივმოყვარეთ უნდა ესმოდეთ, არ ღირს სხვის ჩაგვრით ჰპოვოთ პატივი სიკეთის თესვა დიდი საქმეა, ცუდის კეთება ძალზე მარტივი გული მატკინეს ფარისეველებმა, სიკეთისათვის ველარ იცლიან! მამაო ჩვენო, მათ მიუტევე, რას აკეთებენ ალარ იციან!

უკვე რამდენიმე წელია ვიბრძვი ნორმალური სასკოლო ცხოვრებისათვის, თუმცა ამოდ, მჯერა, რომ ამ საშიშ პროცესს, რომელიც ხრწნის სკოლას, ჯეროვან ყურადღებას მიაპყრობს სახელმწიფო, უპირველესად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რამეთუ ჩაკეტილი სივრცე, მახინჯი რეჟიმი, საგანმანათლებლო იურიდიული სივრციდან გამოსული, აუტანელს გახდის სასკოლო ცხოვრებას, ადამიანებს კი ღირსებას დააკარგვინებს.

მინდა ვიხილო ღირებულებებზე დაფუძნებული სკოლა რეფორმის რეალური შემსრულებლებით, თავისუფალი, გამჭირვალე, სამართლიანი, შემოქმედებითი, ზნემაღალი, თანამშრომლობითი სულისკვეთებით განმსჭვალული პედაგოგებით.

უნდა დასრულდეს პატარა დიქტატორების ხანა სკოლებში!

თეიმურაზ ჯულაყიძე, ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ნიკო ლორთქიფანიძის პრემიის ლაურეატი.

თეიმურაზ ჯულაყიძე

Publication information for 'Mkhlasi Ghebi' magazine, No. 5, March 15-16, 2018. Contact details for the editorial office and subscription information.

Subscription information for 'Mkhlasi Ghebi' magazine, including contact details for the editorial office and a barcode for identification.